საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	67	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 26.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის მიზნით, რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული), გააჩნია დოქტორის ხარისხი. დამთავრებული აქვს მეორე პროფესია, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი 2001 წელს. აქვს სპეციალობით მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 351 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.2. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა

გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.(35[1] მუხლის მე-4 პუნქტი)

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ თამარ ალაიძე არის მშრომელი და კეთილსინდისიერი პიროვნება. ის მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ეკიდება პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. როგორც რეკომენდატორები აღნიშნავენ მისი კეთილსინდისიერება ცნობილია ყველასათვის, ვისაც მასთან ჰქონია შეხება. იგი პასუხისმგებლობით უდგება საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებს. მას აქვს საკუთარი შეცდომების აღიარების უნარი.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, გააჩნია დადებითი საკრედიტო ისტორია. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

თამარ ალფაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რვა ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით კანდიდატს უფიქსირდება სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ათი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

1.3. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა. (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით თამარ ალფაიძე მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, აღჭურვილია დამოუკიდებლობის თვისებით. მასზე სამართლებრივ თუ ცხოვრებისეულ სფეროში რთულად მიმაჩნია ზეწოლის განხორციელება. იგი მიუკერძოებელია და მკაცრად იცავს საკუთარ პოზიციას. როგორც ერთ ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, მისი ცხოვრებისეული ეტაპები სწორედ სამართლიანობისათვის მოღვაწეობაა.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, თუმცა კანდიდატი 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები არ გამოკვეთილა. გასაუბრების პროცესის მიმდინარეობის დროს კანდიდატს ხელს უშლიდა ძლიერი ემოციური ფონი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.4. პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.35[1] მუხლის მე-6 პუნქტი.

წარმოდგენილი და შესწავლილი მასალის ასევე გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით, კანდიდატი კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას არის კორექტული, თავდაჭერილი, კეთილშობილი და ტაქტიანი პიროვნება. მიაჩნიათ, რომ კულტურული და დახვეწილი ადამიანია, თავის პროფესიაში თავშეკავებული და მომთმენი.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით თამარ ალფაიძე დაზარალებულად ცნობილი იქნა 2018 წლის 11 მაისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ალფაიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში იქნა მოძიებული. კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში.

ზემოაღნიშნულის და საჯარო მოსმენის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.5. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.35[1] მუხლის მე-7 პუნქტი.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე იურიდიულ წრეებში. მას გააჩნია იურიდიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, გააჩნია კარგი ავტორიტეტი ამ სფეროში მოღვაწე მასთან პროფესიულ ურთიერთობაში მყოფ პირებში.

თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან დაკავშირებით.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ

ალფაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.35[1] მუხლის მე-9 პუნქტი.

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზისა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.

საჯარო მოსმენისას საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. ვინაიდან, კანდიდატმა ძირითად შემთხვევაში თავი შეიკავა ან უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე, შეუძლებელია იმის დადგენა თუ რამდენად კარგად და სიღრმისეულად იცნობს კანდიდატი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, მიუხედავად მისი სამეცნიერო ნაშრომების არსებობისა. კანდიდატმა ვერ შეძლო საუბარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით, გაუჭირდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ საუბარი, ასევე განრიდებასა და ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებით, საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. მან ბუნდოვნად და ნაწილობრივ გასცა პასუხი სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით დასმულ შეკითხვას.

კანდიდატმა წარმოდგენა სამართლებრივი ნაშრომები:

- ✓ „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“;
- ✓ „სამართლისა და მორალის ევოლუცია“;
- ✓ „ჰუმანური სამართალი, სამართლის ჰუმანური პრინციპები“;
- ✓ „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება და სხვა.35[1] მუხლის მე-10 პუნქტი.

წარმოდგენილ სამართლებრივი ნაშრომის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი. შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავის აზრი. დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას. ჩამოყალიბებული აქვს სწორი ანალიტიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი. მას აქვს სხვადასხვა სფეროში და თანამდებობაზე მუშაობის 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა ვერ გამოავლინა სამართლებრივი ნორმების ცოდნის სათანადო დონე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მძიმე ემოციური ფონით, ამის შესახებ თავად კანდიდატმაც აღნიშნა.

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, დიალოგი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.35[1] მუხლის მე 11 პუნქტი.

როგორც რესპოდენტები უთითებენ კანდიდატი სრულყოფილად ფლობს წერის უნარს. წერის დროს გადმოსცემს არა მხოლოდ ინფორმაციას, არამედ კონკრეტული ფაქტების ლოგიკური ანალიზის შედეგად აყალიბებს მისეულ პოზიციას. კანდიდატის წერის უნარის ყველაზე თვალსაჩინო და უტყუარი დადასტურებაა მისი სამეცნიერო ნაშრომები, რაც ადასტურებს მის არსენალში კარგი წერითი უნარის არსებობას. მას აქვს სამართლებრივი ლექსიკის ადეკვატურად გამოყენების უნარი. შეუძლია ლოგიკურად მსჯელობა და აზრის გასაგებად, ლაკონიურად და დამაჯერებლად გადმოცემა.

რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, კანდიდატს შეუძლია აუღელვებლად მოისმინოს სხვისი, მათ შორის განსხვავებული აზრი, თუმცა, ასეთივე აუღელვებლად ვერ ახერხებს დაასაბუთოს და გადმოსცეს საკუთარი პოზიცია.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ თამარ ალფაიძეს გააჩნია კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მოსმენისა და კამათის კულტურა.

2.4. პროფესიული თვისებები

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მესეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა. 35[1] მუხლის მე-12 პუნქტი.

როგორც რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ მას გააჩნია სამუშაო განრიგის ეფექტიანი დაგეგმვის უნარი, შეუძლია საქმის პასუხისმგებლობით მომზადება. გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით და არის მეტად შრომისმოყვარე.
თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატი არის მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებების მქონე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნება.

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.35[1] მუხლის მე-13 პუნქტი.

თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში:

- ✓ JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014 წელი;
- ✓ International Human Rights - University de Catolique 2014 წელი;
- ✓ ტრენინგი - The center for global communication studies at the annenberg schcool for communication, university of pensilvania, 2012 წელი;
- ✓ ტტრენინგი- training on media regulations, 2011 წელი;
- ✓ AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი.

ამასთან, გამოკითხული რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი მუდმივად ზრუნავს საკუთარი სამართლებრივი ცოდნის მარაგის გაფართოებაზე. აქვს თვითგანვითარების და შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. ამასთან კანდიდატმა წარმოადგინა საკუთარი სამართლებრივი ნაშრომები:

- ✓ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები, თსუ, 2006 წელი;
- ✓ მედია სამართალი, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2008 წელი;
- ✓ შესავალი სამართალმცოდნეობაში, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2009 წელი;
- ✓ სამართალმცოდნეობის შესავალი, (მეორე გამოცემა), თამარ ალფაიძე, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2015 წელი;
- ✓ ინფორმაცია, ინფორმაციული უსაფრთხოება და ინფორმაციული დანაშაული (მონოგრაფია -გამოსაქვეყნებელი). (კანდიდატის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის თანახმად).

კანდიდატი ფლობს რუსულ, ესპანურ და ინგლისურ ენებს.

2.7. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.35- მუხლის მე-14 პუნქტი.

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინე შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების

წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად და თავისუფლად. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის ინტერესი. ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას:

- ✓ 2005-2007 წლები - ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტში. მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ 2006 - 2009 წლები -ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი;
- ✓ 2009 – 2015 წლები - ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი;
- ✓ 2016 -2023 წლები - პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
- ✓ 2023 - 2024 წლები - ასოცირებული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი
- ✓ 2022 წლიდან - დღემდე - მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი, თსუ.
- ✓ 2024 წლიდან - დღემდე - მოწვეული ლექტორი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

<u>კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:</u>

თამარ ალფაიძეს **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **67 ქულით,** რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის **(100 ქულა) 67%** შეადგენს.

ირაკლი ბონდარენკო

26.06.2025 წელი